

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-07/13649
03/10/2019

13649-2-07-2-201910031802



მოქალაქე მანანა ვარდიაშვილს (პ/ნ 40001006035)

ელ. ფოსტა: mananav@gmail.com

ტელ: 599 27 52 45

ქალბატონო მანანა,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (შემდგომში - დეპარტამენტი) 2019 წლის 19 სექტემბერს, შემოვიდა თქვენი განცხადება (დეპარტამენტში რეგისტრაციის №24874/2) (შემდგომში - განცხადება), საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით.

დეპარტამენტმა განიხილა თქვენი განცხადება და დანართის სახით გიგზავნიტ ინფორმაციას საგზაო ინტენსივობის შესახებ 2010-2018 წლებში, ხოლო რაც შეეხება განცხადებით მოთხოვნილ სხვა სახის ინფორმაციას (კონკრეტული ქვეყნებიდან ავტომობილების რაოდენობა, შემოსავლები, სატვირთო გადაზიდვები, ავტომობილთა ნაკადის სავარაუდო ზრდა) აღნიშნული არ წარმოადგენს დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს.

სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად დაზუსტდა, რომ განცხადებით ასევე ითხოვთ ინფორმაციას ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთთან დაკავშირებით, რაზედაც გაცნობებთ, რომ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმას მონაკვეთის ორივე ლოტზე (ლოტი 1: ხულო - გოდერძის გადასასვლელი კმ 0+000-კმ 29+372; ლოტი 2: გოდერძის უღელტეხილი - ზარზმა კმ 0+000-კმ 17+380) სამუშაოებს აწარმოებს TODINI Costruzioni Generali S.p.A. თუმცა სამუშაოების პროგრესი არის ძალიან სუსტი. კონტრაქტორმა სამუშაოები ორივე ლოტზე უნდა დაასრულოს 2020 წლის 1 ოქტომბერს, რაც შეეხება სამუშაოების ღირებულებას, გაცნობებთ, რომ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმას მონაკვეთის პირველ ლოტზე სახელმეკრულებო ღირებულება შეადგენს - 69 946 268.97 ლარს, ხოლო მეორე ლოტის სახელმეკრულებო ღირებულება შეადგენს - 40 264 509.82 ლარს.

რაც შეეხება 2012 წლიდან დღემდე გზის მიმდინარე შეკეთებაზე დახარჯულ თანხებს, გაცნობებთ, რომ ბათუმი(ანგისა)- ახალციხის საავტომობილო გზის კმ0-კმ117 მონაკვეთზე მიმდინარე შეკეთების სამუშაოებისათვის დახარჯულია:

- 2012 წელი - 289 864.64 ლარი, დღგ-ს ჩათვლით;
- 2013 წელი - 415 546.18 ლარი, დღგ-ს ჩათვლით;
- 2014 წელი - 516 048.73 ლარი, დღგ-ს ჩათვლით;
- 2015 წელი - 332 705.31 ლარი, დღგ-ს ჩათვლით;
- 2016 წელი - 375 174.25 ლარი, დღგ-ს ჩათვლით;
- 2017 წელი - 1 139 218.22 ლარი, დღგ-ს ჩათვლით;
- 2018 წელი - 1 447 752.45 ლარი, დღგ-ს ჩათვლით;
- 2019 წელი 31 აგვისტოს მდგომარეობით - 959 883.3 ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

კმ118-კმ159 მონაკვეთზე მიმდინარე შეკეთების სამუშაოებისთვის დახარჯულია:

- 2012 წელი - 246,544.95 ლარი, დღგ-ს ჩათვლით;

2013 წელი - 238,300.18 ლარი, დღგ-ს ჩათვლით;
2014 წელი - 199,448.14 ლარი, დღგ-ს ჩათვლით;
2015 წელი - 222,331.50 ლარი, დღგ-ს ჩათვლით;
2016 წელი - 215,791.35 ლარი, დღგ-ს ჩათვლით;
2017 წელი - 265,634.78 ლარი, დღგ-ს ჩათვლით;
2018 წელი - 206,620.77 ლარი, დღგ-ს ჩათვლით;
2019 წელი 31 აგვისტოს მდგომარეობით - 441,786.41 ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

პატივისცემით,

ფიქრია კვერნაძე



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე
პასუხისმგებელი პირი

იურიდიული სამსახური

